**ტენდერი მღრღნელების სატყუარა კონტეინერების შესყიდვაზე**

შპს „2 ნაბიჯი“ აცხადებს ტენდერს მღრღნელების სატყუარა კონტეინერების შესყიდვაზე.

**პროდუქტის აღწერილობა:**

1. **მღრღნელების სატყუარა კონტეინერები - 4 900 ცალი**

- განკუთვნილი უნდა იყოს შიდა ტერიტორიაზე გამოსაყენებლად;
- უნდა ჰქონდეს ორი მხრიდან ღია შესასვლელი;
- მღრღნელის შესვლის შემდეგ შეუძლებელი უნდა იყოს მისი უკან გამოსვლა;
- უნდა იდებოდეს წებოვანი ფირფიტა მღრღნელის დასაჭერად.

2. **თაგვის დამჭერი წებოვანი ფირფიტა - 30 000 ცალი**

- ფირფიტა უნდა იყოს არაქიმიური უსაფრთხო;
- ფირფიტა მორგებული უნდა იყოს შემოთავაზებული კონტეინერის ზომებზე.

**ტენდერის პირობები/მოთხოვნები:**

- პრეტენდენტმა კომერციული წინადადება უნდა წარმოადგინოს ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, დანართი N1-ის შესაბამისად;
- პრეტენდენტმა შესასყიდი საქონლის დეტალური ტექნიკური მონაცემები, ინფორმაცია მწარმოებელი ქვეყანის, მწარმოებელი კომპანიის, მოდელის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ უნდა წარმოადგინოს დანართი N1-ის შესაბამისად;
- ინფორმაცია პროდუქციის მიწოდების ვადების შესახებ (დანართი N1);
- გადახდის პირობა (დანართი N1);
- პრეტენდენტი ვალდებულია ტენდერის დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის ნიმუში. მისამართი: ისანი, ნავთლუღის ქუჩა 39-41, საქართველო, თბილისი, 0113, სამუშაო საათები 09:00-18:00;

*<u>*შენიშვნა: უპირატესობა მიენიჭება იმ კომპანიის შემოთავაზებას, რომლის ანგარიშწორების პირობა იქნება 45 (ორმოცდახუთი) დღიანი კონსიგნაცია.</u>*

**მოწოდების პირობა და ვადები:**

- 4900 ცალი კონტეინერისა და მისთვის განკუთვნილი წებოვანი ფირფიტის მოწოდება განხორციელდება ერთად ხელშეკრულების გაფორმებიდან პრეტენდენტის მიერ შემოთაზებული ვადის შესაბამისად;
- წებოვანი ფირფიტების დარჩენილი ნაწილის მოწოდება მოხდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, რომელიც შეთანხმდება ხელშეკრულების გაფორმების დროს.

**აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმეტები:**

- დანართი N1, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ხელმოწერილი, ისე Excel-ის ფორმატით;
- საჯარო რეესტრიდან განახლებული სამეწარმეო ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია (საქმიანობის მოკლე აღწერილობა , გამოცდილება, კლიენტების სია, შესრულებული პროექტები, რეკომენდაციები, და ა.შ.);

**შენიშვნები:**

*შპს „ორი ნაბიჯი“ იტოვებს უფლებას არ შეისყიდოს სრულად ტენდერში წარმოდგენილი რაოდენობები.*

*შპს ,,ორი ნაბიჯი“ იტოვებს უფლებას მიიღოს სატენდერო წინადადება სრულად ან ნაწილობრივ;*

*შპს ,,ორი ნაბიჯი“ გამოავლენს გამარჯვებულს ყველა პირობის ერთობლიობის გათვალისწინებით;*

*თუ პრედენდენტს არ შეუძლია გარკვეული საქონლის მოწოდება შეუძლია გამოტოვოს გრაფა.*

**ტენდერის ჩაბარების პირობები:**

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა, შესაბამისი შემოთავაზება, ტენდერში მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტები და საკონტაქტო ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ მეილზე tenders@orinabiji.ge 2025 წლის, 28 იანვრის 18:00 საათის ჩათვლით.

**ტენდერის საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ წერილობით მიმართოთ:**
ანი შენგელია / ია ჟიჟიაშვილი
საკონტაქტო ნომერი: 571 00 03 06 / 598 37 34 31
ელ.ფოსტა: ani.shengelia@orinabiji.ge / ia.zhizhiashvili@orinabiji.ge